

საქართველოს კანონი
„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-13 მუხლის პირველი პუნქტი „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ორი მოადგილე;“

2. მე-13 მუხლის მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები ჩაითვლებიან არჩეულად, თუ მათ კანდიდატურას მხარი დაუჭირა საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.“

6. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ან ერთ-ერთი მოადგილე ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას მისი დავალებით. თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თავმჯდომარის გადაყენებისას, მის მოვალეობას ასრულებს პირველი მოადგილე, ხოლო პირველი მოადგილის არყოფნისას ერთ-ერთი მოადგილე. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები ახორციელებენ ფუნქციებს ამ კანონის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის ან საკრებულოს დავალებით, საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესითა და ფარგლებში.

8. საკრებულოს თავმჯდომარე, ფრაქციის თავმჯდომარე, მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები იღებენ გასამრჯელოს.“

3. მე-14¹ მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკრებულოს ბიურო შედგება საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის და მოადგილეების, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებისაგან.“

4. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. საკრებულოს სხდომის ოქმს ხელს აწერს საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.“

5. მე-18 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. საკრებულო თავისი შეხედულებისამებრ კმნის არაუმეტეს თორმეტი მუდმივმოქმედ კომისიას და საკრებულოს სარევიზიო კომისიას.“

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთავანე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი